

საქართველოში სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების შესახებ მონაცემების სტატისტიკური დაზუშავების საკითხების

ირინა გოცირიძე, ანა ფიცხელაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება საქართველოში სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების წარმოების და გამოყენების შესახებ თანამედროვე მდგომარეობა, მისი ამსახველი სტატისტიკური მონაცემები. შემოთავაზებულია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების იმპორტირებით და გავებული წამყვანი ორგანიზაციებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები. გამოვლენილია ყველაზე მოთხოვნადი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები და ჩატარებულია მათი კლასიფიკაცია.


საკანონი სიტყვები: სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები. სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების ეროვნული ნომენკლატურული და კოდიფიკაციის სისტემის ძირითადი ჯგუფები.

1. შესავალი

ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არ იწარმოება სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები. მათი შემოტანა ძირითადად ხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მნიშვნელოვანია, თუ რა სახის სამედიცინო ტექნიკურ ნაკეთობებზე საქართველოში ყველაზე დიდი მოთხოვნა. სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების ეროვნული ნომენკლატურული და კოდიფიკაციის სისტემაში სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები პირობითად დაყოფილია 13 ძირითად ჯგუფი. სისტემა აგბულია კლასიფიკაციის ფასეტური მეთოდით, რაც სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების სახეების მუდმივი ჩამატების, სისტემის პერიოდული განახლება-მოდერნიზაციის საშუალებას იძლევა. [1].

2. ძირითადი ნაწილი


საქართველოში სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების იმპორტირებით დაკავებული წამყვანი ორგანიზაციებიდან [2, 3] მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2009-2010 წლებში სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებიდან ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი მიეკუთვნება შემდეგ ძირითადი ჯგუფებს: ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები რეანიმაციისა და ინტენსიური ბლოკებისათვის”, ინდექსი “03” (204 ერთეული, 55%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები დაიაგნოსტიკისათვის”, ინდექსი “02” (93 ერთეული, 25%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები ორგანოთა ფუნქციის დროებითი ჩანაცვლებისათვის”, ინდექსი “09” (49 ერთეული, 13%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები საოპრაციო და საშობარო ბლოკებისათვის”, ინდექსი “04” (14 ერთეული, 4%), ძირითადი ჯგუფი “სხვა”, ინდექსი “13” (8 ერთეული, 2%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები სტერილური ინდუსტრიისათვის”, ინდექსი “08” (2 ერთეული, 0,6%) და ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები რეაბილიტაცია-ფიზიორაპიისათვის”, ინდექსი “05” (1 ერთეული, 0,4%). აღნიშნული ნათლად ჩანს 1-ელ დაგრამებზე:



დაგრ.1. 2009-2010 წლებში მოთხოვნადი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები (რიცხვითი და პროცენტული რაოდენობების მიხედვით)

შესაბამისად, მხოლოდ 2009 წელს სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებიდან ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი მიეკუთვნება შემდეგ ძირითადი ჯგუფებს: ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები

რეანიმაციისა და ინტენსიური ბლოკებისათვის”, ინდექსი “03” (95 ერთეული, 48%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები დიაგნოსტიკისათვის”, ინდექსი “02” (53 ერთეული, 27%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები ორგანოთა ფუნქციის დროებითი ჩანაცვლებისათვის”, ინდექსი “09” (34 ერთეული, 17%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები საოპერაციო და სამშობიარო ბლოკებისათვის”, ინდექსი “04” (8 ერთეული, 4%), ძირითადი ჯგუფი “სხვა”, ინდექსი “13” (6 ერთეული, 3%), ძირითადი ჯგუფები “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები სტერილიზაციისა და დეზინფექციისათვის”, ინდექსი “08” და “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები რეაბილიტაცია-ფაზიოთერაპიისათვის”, ინდექსი “05” (თითო ერთეული, 0,5-0,5%). ეს ასახულია მე-2 დიაგრამებზე:




დაგრ.2. 2009 წელს საქართველოში მოთხოვნადი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები
(რიცხვითი და პროცენტული რაოდენობების მიხედვით)

მსგავსად, მხოლოდ 2010 წელს სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებიდან ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი მიეკუთვნება შემდეგ ძირითად ჯგუფებს: ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები რეანიმაციისა და ინტენსიური ბლოკებისათვის”, ინდექსი “03” (109 ერთეული, 66%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები დიაგნოსტიკისათვის”, ინდექსი “02” (32 ერთეული, 20%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები ორგანოთა ფუნქციის დროებითი ჩანაცვლებისათვის”, ინდექსი “09” (15 ერთეული, 9%), ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები საოპერაციო და სამშობიარო ბლოკებისათვის”, ინდექსი “04” (6 ერთეული, 3,5%), ძირითადი ჯგუფი “სხვა”, ინდექსი “13” (2 ერთეული, 1%) და ძირითადი ჯგუფი “სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები სტერილიზაციისა და დეზინფექციისათვის”, ინდექსი “08” (1 ერთეული, 0,5%). აღნიშნული ნათლად ჩანს მე-3 დიაგრამებზე:

3. დასკვნა

როგორც მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად გახდა ცნობილი, უკანასკნელ წლებში საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები მიეკუთვნება შემდეგ ძირითადი ჯგუფებს:

1. ძირითადი ჯგუფი „სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები რეანიმაციისა და ინტენსიური ბლოკებისათვის”;
2. ძირითადი ჯგუფი „სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები დიაგნოსტიკისათვის”;
3. ძირითადი ჯგუფი „სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები ორგანოთა ფუნქციის დროებითი ჩანაცვლებისათვის”;
4. ძირითადი ჯგუფი „სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები საოპერაციო და სამშობიარო ბლოკებისათვის”.



დაგრ.1. 2010 წელს საქართველოში მოთხოვნადი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები
(რიცხვითი და პროცენტული რაოდენობების მიხდვით)

ლიტერატურა:

1. / , 1970
2. <http://www.ivermedi.com>
3. <http://www.emergomed.ge>

ABOUT OF STATISTICAL DATA PROCESSING ON MEDICAL TECHNICAL DEVICES IN GEORGIA

Gotsiridze Irina, Pitskelauri Anna

The Georgian Technical University

Summary

In the represented article there is considered a present state of the manufacture and usage of medical technical devices in Georgia. There are given corresponding statistical data as well. In the article there are offered the results of the analyses of information, obtained from the leading importing organizations of medical technical devices. Here are revealed the most demanded medical technical devices and their classification.

Резюме